# მოგილოცავთ პირველ მაისს, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი № 102 (12310) | სამშაბათი, 1 მაისი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.



## მშვიდობა
## შრომა
## თანასწორობა
## თავისუფლება
## ძმობა
## ბედნიერება

# დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
## სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

*1962 წლის 1 მაისი* № 99 *ქ. მოსკოვი*

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ პირველ მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს.

მიმდინარე წელს პირველი მაისის დღესასწაული აღინიშნება საბჭოთა ადამიანების შრომითი ენთუზიაზმისა და შემოქმედებითი ინიციატივის მძლავრი აღმავლობის ვითარებაში, რომლებმაც გმირული ბრძოლა გააჩაღეს კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის.

ჩვენი ქვეყნის მშრომელებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი სკკპ ისტორიული XXII ყრილობის შემდგომი პირველი წელი აღნიშნონ ახალი წარმატებებით მრეწველობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, გამოხატავენ რა ხალხების ინტერესებსა და მისწრაფებებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უზრუნველყონ მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა მთელ მსოფლიოში. საბჭოთა კავშირი შეუნელებელი ენერგიით იბრძვის საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

საბჭოთა მთავრობა მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ამასთან ითვალისწინებს, რომ იზრდება დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიული ძალების მხრივ ომის საფრთხე.

საერთაშორისო რეაქცია ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტების მეთაურობით აძლიერებს გამალებულ შეიარაღებას, აწყობს სამხედრო პროვოკაციებს, ქმნის დაძაბულობის საშიშ კერებს დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, გულში ატარებს სსრ კავშირსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებზე უეცარი რაკეტულ-ატომური თავდასხმის გეგმებს. მიუხედავად მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის მიერ ნათლად გამოთქმული ნებისა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სოციალისტური სამშობლოს უშიშროებისა და მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების მიზნით ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის და არმიისა და ფლოტის უახლესი საბრძოლო ტექნიკითა და იარაღით აღჭურვისათვის. საბჭოთა შეიარაღებული ძალები ფხიზლად დგანან ჩვენი ხალხის შემოქმედებითი შრომის საგუშაგოზე და ყოველთვის მზად არიან გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ აგრესორს, თუ მან სცადა თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებს.

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო, ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო! გილოცავთ მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველი მაისის დღეს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს საბრძოლო ოსტატობის სრულყოფაში, მხედრული დისციპლინის განმტკიცებაში, ჯარების სიფხიზლისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის გაძლიერებაში.

დღესასწაულის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

დღეს, 1 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, აგრეთვე გმირ ქალაქებში: ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლსა და ოდესაში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი რ. მალინოვსკი.

## ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ნ. კოსიგინი ხელოვნური ბოჭკოს კომბინატში

კლინი (მოსკოვის ოლქი), 29 აპრილი (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ნ. კოსიგინი ეწვივნენ ხელოვნური ბოჭკოს კომბინატს კლინში.

საუბარში, რომელიც ერთ-ერთ საამქროში გაიმართა, კომბინატის დირექტორმა ი. ი. ვოლკოვმა ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. ნ. კოსიგინს გააცნო საწარმოს მუშაობა.

კომბინატის დათვალიერების დროს ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა მუშებს, იყო მუშათა სასადილოში.

ერთ-ერთ საამქროში ნ. ს. ხრუშჩოვი და ა. ნ. კოსიგინი გაეცნენ გამოფენას, რომელზეც წარმოდგენილია კლინის კომბინატში დამზადებული ხელოვნური ბოჭკოს ქსოვილებისა და ნაწარმის ნიმუშები.

საუბარში, რომელიც საამქროების დათვალიერების შემდეგ გაიმართა, ნ. ს. ხრუშჩოვმა ურჩია საწარმოს ხელმძღვანელებს გააფართოონ წარმოება, გაადიდონ ბოჭკოს გამოშვება. ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ კომბინატში ახალ მოწყობილობასთან ერთად ჯერ კიდევ ბევრია მოძველებული მოწყობილობა. იგი თანამედროვე, სრულყოფილი მოწყობილობით უნდა შეიცვალოს, თქვა მან.

დათვალიერება დამთავრდა. კომბინატის ეზოში შეიკრიბნენ მუშები და სპეციალისტები. ისინი გულთბილად მიესალმნენ ნ. ს. ხრუშჩოვსა და ა. ნ. კოსიგინს.

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა მათ 1 მაისის დღესასწაული და უსურვა შემდგომი წარმატებანი მუშაობაში.




## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

**1962 წლის** 19 და 20 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა შემოსული წინადადებანი 1961 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხებზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

## დადგენილება „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტისა

### „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1961 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

**მშვიდობის** შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიები:

კვამე ნკრუმას — სახელმწიფო მოღვაწეს (რესპუბლიკა განა).

პაბლო პიკასოს — მხატვარს, საზოგადო მოღვაწეს (საფრანგეთი).

იშტვან დობის — სახელმწიფო მოღვაწეს (უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა).

ფაიზ ახმად ფაიზს — პოეტს, საზოგადო მოღვაწეს (პაკისტანი).

ოლგა პობლეტე დე ესპინოზას — საზოგადო მოღვაწე (ჩილი).

კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი სკობელცინი.

კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები: გო მო-ჟო, ლუი არაგონი.

კომიტეტის წევრები: ბრიგოლ ალექსანდროვი, ჯონ ბერნალი, რენატო გუტუზო, იან დემბოვსკი, ანა ზეგერსი, ივანე მალეკი, ხუან მარინელო ვიდაურეტა, პაბლო ნერუდა, საჰიბ სინგ სოკჰეი, ილია ერენბურგი, კაორუ იასუი.

# ნ ე რ გ ი

[illegible]

...ჯერ მოიზლაზნებოდა, გზას მოიკაფავდა, გადატრუსული ბალახის ძირებში მაცოცხლებლად ჩამავალი, ზედაპირზე სოკოებივით ტოვებდა თეთრ ბუშტულებს, იფანტებოდა უკალაპოტო თვალუწვდენ ველებზე და ფარავდა ათასობით ჩემისთანა ადამიანის ნატერფა-

[illegible]

ნერგმა". თვითონ დროშა იყო ნერგი...

ეს იყო 1951 წელს.

**ნერგი** ყოველივე იმ ხიკეთისა, რასაც ხედავს ჩემი თვალი მოლივლივე თბილისის ზღვის აზურმუხტებული

[illegible]

ეს კი ამ ადრე გაზაფხულზე იყო. ვიდექი სამგორის — ყოფილი მლაშე ტბების რაიონის აბიბინებულ მიწაზე და შორს გავქცეროდი მიდამოს. სახეზე თბილისის ზღვიდან მონაბერი გაზაფხულის ნიავი მელამუნებოდა. ჩემს პატარა სამგორს ნატვრის თვალი ჩაეყენებინა. და მე მასში, როგორც მზეს ერთ წვეთ წყალში, ჩემს სამშობლოს ვხედავდი — აყვავებულს და გაფურჩქნილს. ჩემი ყურადღება მიიპყრო მოასფალტებულ გზაზე სატვირთო ავტომანქანების ქარავანმა. მანქანების ძარაში ნელა ირწეოდნენ ნერგები. თვლა არ ჰქონდა ამ ნერგებს. საიდან მიჰქონდათ იგი? — სამგორიდან, სახელმწიფო ხეხილსანერგიდან! მიჰქონდათ, რომ ახალ მიწებზე გადაერგოთ, აემწვანებინათ, აებიბინებინათ ველ-მინდვრები, გაეშენებინათ ხეხილის ახალი ბაღები.

რა შეძლო კაცის შრომამ სამგორის საუკუნეობით გადატრუსულ, გაუხარელ მიწაზე!

ნერგები, ავტომანქანების ქარავანი რომ მიაქროლებდა, ხეხილსანერგის ერთ-ერთი კომუნისტური შრომის ბრიგადის გამოყვანილი და დამყნობილი იყო.

— პირველი მაისი განთავისუფლებული შრომის ზეიმია. ჩვენ მივალთ კომუნისტური შრომის გამარჯვებამდე! — ამბობდა ლენინი ოციანი წლების პირველ ხამაისო შაბათობებზე.

მივედით.

იხარა ნერგმა.

იმ პირველი მაისობის დროშა იყო თვითონ ნერგი, დიდებულ აწმყოდ რომ გაიფურჩქნა და კიდევ უფრო დიად მომავლად რომ გაიშლება.

**ვლადიმერ თორდუა.**



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მდნობელთა ბრიგადის ხელმძღვანელმა ლევან კობახიძემ კეთილსინდისიერი შრომით წარმოების კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ლევანი პარტიისა და ხალხის ამ დიდ ნდობას გმირული შრომით ამართლებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# ასე ვიზრდებით, ასე ვეზრდებით

[illegible]

...ლუტური მატების მიხედვით და შარშან გაუთანაბრდა ელექტროენერგიის წარმოების აბსოლუტური მატების მიხედვით.

სსრ კავშირს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ტრაქტორების (15 ძალიანზე გადაყვანით) წარმოების მხრივ, თბომავლებისა და ელმავლების გამოშვების, ქვანახშირისა და რკინის მადნის მოპოვების, კოქსის, დახერხილი მასალის, ასაწყობი რკინაბეტონის, შალის ქსოვილების, ერბო-კარაქის წარმოების მხრივ.

რევოლუციამდელ რუსეთში 1913 წელს სახალხო მეურნეობაში მუშაობდა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 190 ათასი სპეციალისტი. 1961 წელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში მუშაობდა 9.433 ათასი სპეციალისტი.

მიმდინარე სასწავლო წელს (უშუალოდ სამუშაოზე მუშებისა და სხვა მუშაკების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გათვალისწინებით) სსრ კავშირში სწავლობს დაახლოებით 56 მილიონი კაცი.

რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით საშუალო სკოლების რიცხვი ჩვენი ქვეყნის ქალაქებში გაიზარდა 10-ჯერ, ხოლო სოფლად — 171-ჯერ.

რევოლუციამდელ რუსეთში იყო 105 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 1914-1915 სასწავლო წელს სწავლობდა 127 ათასი სტუდენტი. მიმდინარე სასწავლო წელს 731 საბჭოთა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 2.640 ათასი სტუდენტი.

ჩვენი ქვეყნის უმაღლესმა სასწავლებლებმა 1961 წელს გამოუშვეს 121 ათასი ინჟინერი — სამჯერ და უფრო მეტი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ჩვენს ქვეყანაში 404,1 ათასი მეცნიერი მუშაკია. ეს თითქმის 40-ჯერ მეტია, ვიდრე რევოლუციამდელ რუსეთში იყო.

შარშან სსრ კავშირში ყოველ ათას სულ მოსახლეზე აშენებულია 12,4 ბინა. შესაბამისად ამერიკის შეერთებულ შტატებში — 6,9, ინგლისში — 5,8, საფრანგეთში — 7, იტალიაში — 6, ავსტრიაში — 5,5.

**ყველა მოყვანილი ციფრი მოცემულია ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ახალი სტატისტიკური კრებულის მიხედვით „სსრ კავშირი ციფრებში 1961 წელს".**

**თბილისის** აღმოსავლეთით, მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასწვრივ, ორთაჭალა უკანასკნელი ბაღნარი იყო სამიოდე ათეული წლის წინათ. განჯისკარს იქით აღარც ხე იდგა, აღარც ბუჩქი ჩანდა, თუნდაც თრიმლი. ადრე გაზაფხულზე ამოწვერილი ბალახი, რასაც მაშინვე ცხვრის ფარები ვერ მოძოვდნენ, უკვე მაისის დამლევს აიშუშებოდა, გახმებოდა, ცხელი ქარი მოფშვნიდა ბურნუთივით. ირგვლივ ყველაფერი განაცრისფერდებოდა. ბოლნისის გზაზე მეურმეებისაგან დაყენებული მტვრის კორიანტელი ღრუბლებამდე ადიოდა. შავნაბადის სერ-ხრიოკები, სოღანლუღის ბორცვები, ქვემოთ ბაქოსაკენ მიმავალი შარისპირა, ზამთრის ქართაგან შავნიადაგგადაცლილი წითელი ვაკეები და იაღლუჯა უდაბნოს უფრო წააგავდა, ვიდრე ქართლის, შიგა კახეთის, იმერეთის და სამეგრელოს წალკოტებს. არა, თბილისის ამ გასასვლელში თვალი ვერ ისვენებდა.

ასეთი არგასახარი დაბლობის ბოლოზე, იქ, სადაც იაღლუჯის შიშველ გორაკთა გრეხილი მტკვარს ებჯინებოდა, ძველ რუსთავს ხაზხაზნაჭამის მწარე ძილით ეძინა ერთ პატარა ტინზე.

ოდესღაც აქლემთა ქარავნების ამ მასპინძლის არსებობის ადგილი მხოლოდ ქართველმა გეოგრაფ-ისტორიკოსებმა, მონადირეებმა და მეჯოგეებმა იცოდნენ.

რუსთავთან პირველი გაცნობა დიდი ხნის წინათ, ჭაბუკობის წლებში მომხდა შემთხვევით. ჩვენ მეზობლად დოლაბაურში ერთი მოიჯარე ცხოვრობდა. ამ მოხერხებულ კაცს სარემონტო საქმე აელო სარწყავი არხის სათავისა და სისტემის შეკეთებაზე რუსთავში. ეს ის ცნობილი არხია, რომელიც გარდაბანყარაიის მინდვრებს დიდი ხანია ჩინებულად ემსახურება.

ჩვენმა ნაცნობმა მოიჯარემ ზამთარში მეტად გაგვაოცა: უეცრად ეზოში შემოიყვანა დახოცილი გარეული ტახებით დატვირთული ფორანი.

კარგ გუნებაზე იყო. ეტყობოდა საიჯარო საქმით ფულს იგებდა. მოსულის უმალ შინაურებს მაყალი გააჩაღებინა, ზედ ნანადირევის მწვადები დაუფიცხა, მაგიდაზე სველი ხელადებით კახური ღვინო და მეზობელ ბიჭებს ხელი გვიქნია, მწვადებზე დამეწვიეთო.

— მე კი წარმოდგენაც არა მაქვს, სად არის ტყეში გარეული ტახი! — დავიჩივლე გულახდილად. მოიჯარემ შემომხედა და მითხრა:

— გინდათ, ერთად გავწიოთ რუსთავში, ქქიდან შორს არ არის.

— გვინდა! — წამოვიძახეთ ერთად რამდენიმემ.

— რაკი ასეა, ბიჭებო, მომიცადეთ და გაჩვენებთ რუსთავს. ოღონდაც მოვეწყო რიგიანად, დროც უკეთესი შევურჩიოთ, — გაგვახარა მან. ცდა გაზაფხულამდე დაგვჭირდა. ერთ დილით, მგონი კვირადღე იყო, ადრე წამოგვაყენა. ნავთლუღიდან მატარებლით ბაქოსაკენ ვქენით პირი. ერთ საათში რუსთავს მივაღწიეთ. გავოცდით. ასეთი შიშველი მიდამო ჯერ არ გვენახა. სამორიგეოს გარშემო, საღამდეც კი თვალი მიგვიწვდებოდა, შენობის ნატამალიც არსად იყო.

რკინიგზიდან არხის სათავემდე კარგა მოზრდილი მანძილი გავიარეთ.

აპრილის დამდეგი იყო. მინდორს სასტიკი სიცხე დაუფლებოდა. მაღლა ვერ აიხედავდი. ცარგვალი გამდნარი ლითონის ღვარივით ჰქრიდა თვალს. მალე მდინარის მახლობლად, მოიჯარის კარგი ნაცნობი აზერბაიჯანელის მიწურის წინ აღმოვჩნდით. მასპინძელი დატრიალდა. მიხვდა ჩვენს გასაჭირს, გვწყუროდა. ქაშანურის ვეება ქოთნით კამეჩის მაწონი მოგვართვა, ქაშანურისავე ჯამებზე გადმოგვილო და ჩალის კოვზებითაც შეგვაიარაღა, თანაც გაგვაფრთხილა:

— მაწვნის შემდეგ წყალი არ დალიოთ!

როცა წყურვილი მოვიკალით, ყველამ გავწიეთ არხის სათავისაკენ. ეს ის ადგილია, სადაც დღეს რუსთავის ხიდის მარცხენა მხარეზე ავტობუსები ჩერდებიან და ძვირფასი სამრეწველო ქალაქის მთავარი ქუჩის დასაწყისია. მაშინ კი ამ ადგილას გაურანდავი ნაგვერდალი ფიცრებისაგან სახელდახელოდ აგებული, ფიცრებითვე გადახურული ფარდული დაგვხვდა.

შორიდანვე შეგვესმა სამჭედლოსათვის დამახასიათებელი ლითონის ლაწან-წკრიალი, ქვანახშირის კვამლის სუნიც გვეცა.

ფიცრულში სამჭედლო გაემართათ. სამჭედლოში რვა კაცი ტრიალებდა, ყველა ქვანახშირის ნამწვის მტვერში ამოგანგლულიყო. ტანისამოსი შერუჯოდათ.

ორი კაცი საბერველთან ფუსფუსებდა, დანარჩენი ექვსი, ქვერებით და ჯოროებით შეჭურვილები, სამ გრდემლზე განაწილებულიყვნენ.

— აგერ, ეს ტყეებია გარეული ტახის საყვარელი ადგილები. გასწით, აჰყევით აღმა-დაღმა მდინარის ნაპირს.

**პირველი**, რაც მარტოდ ტყეში გაშვებულმა ბიჭებმა მოვინდომეთ, მტკვრის გადალახვა იყო. მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოვიყვანეთ. მდინარე ამ ადგილებში მეტად ღრმა იყო. ხიდი, ბონდი, ბორანი კი აქ არსად იყო, ნავზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა. მეტი რაღა გზა გვქონდა, მარცხენა ნაპირის ტყეში დავრჩით.

და განა ეს სურათი რუსთავის შემოგარენის გაზაფხული არ არის! თეთრი ბატკნების ფარაც იაღლუჯის კალთებზე ამ ქალაქის ყვავილებია, გზის პირებზე რაღაც საჭიროებისათვის დაწყობილი რკინაბეტონის ბუმბერაზი მილებიც რუსთავის მშვენებაა.

გოგონების გუნდი რაღას ნიშნავს? ცხრანი არიან და ავტობუსის ერთი მხარე დაუკავებიათ. მათი ლაპარაკიდან გაიგებ: გუშინ რუსთავიდან თბილისში ასულან. საღამოთი იქ, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, გამოცდები ჩაუბარებიათ. ერთად მუშაობენ თუჯის, ფოლადის, რკინის დამზადებაზე, ერთად სწავლობენ დაუსწრებლად.

მაამებლად შრიალებენ ახლად ფოთოლგაშლილი, ხუჭუჭებდაყრილი მუხები, სიმაგრით რკინის მონათესავე თელები, ბუმბერაზი ფოთოლცელქი ვერხვები.

აგერ ბიჭებმა ჩაიარეს და ჩაიმღერეს, გოგოებს გააგონეს:

„აბა რა არის მისთანა,
ტაძარი გელათისთანა,
ქალაქი რუსთავისთანა,
ქალი თამარქალისთანა.

და მიხვდებით — გოგონებს შორის ერთი თამარია. ასე უმღერის ღლევანდელი დღით წარსულს და მომავალს ამ ქალაქის ვაჟი.

# დ ი დ ე ბ ა შ ე ნ,
## კ ა ც ი ს მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ვ!

ამ, 1962 წლის გაზაფხულზე მომხდარ დიდ სასიხარულო ამბავთან — ლენინური პრემიებით ჩვენი გამოჩენილი მეტალურგების დაჯილდოებასთან დაკავშირებით ერთი წარსული გაზაფხულის ეს სურათი მეხსიერებაში აღმიდგა.

**აპრილის** მიწურულია. ორთაჭალაში ხეხილს დაუყვავილებია, ნაყოფი განასკვულა. კრწანისის ღელიდან დაწყებული, შავნაბადას ფერდობები, ღარდოები, მტკვრისპირა დავაკებები სოღანლუღამდე, რაც მრავალსართულიან სახლებს და საწარმოებს არ უკავიათ, სულ მწვანით შემოსილა. მერე და რა საამურია გაზაფხულზე აქეთ სიარული. ბუნება ხომ სოღანლუღს იქით, რუსთავისკენ არანაკლებ მომხიბლავია. ხეები და ბაღები უფრო მძლავრად გამოიყურება. ბაღები, ბაღები და კიდევ ბაღები. ბოსტნები, ბოსტნები და კიდევ ბოსტნები. მწვანეში მშვენიერი სახლები დგას. ავტობუსის ფანჯრიდან ჯეჯილიც ჩანს. პურს მუხლი უყრია, სიმინდი გასამყურებულა. იაღლუჯაზე წლევანდელი ხშირი წვიმებისაგან ქუჩი ახავერდებულა.

სამრეწველო ქალაქის მიდამოებში, სადაც უწყლოდ ხე ფესვს ვერ იკიდებდა, მინდვრები გადასერილია სარწყავი თხრილებით.

ასფალტით დაფარული გზა ფართო და პირდაპირია. აქეთ-იქით ყველგან ნორჩი ხეებია. ერთი გოგონას სიტყვით რომ ვთქვათ, მალე რუსთავსა და თბილისს შორის მთლიანი ტყის ზოლი შეიქნება.

გოგონების ლაპარაკს ყურს ვერ მოსწყვეტ. ეს რუსთავის ახალგაზრდა მოქალაქენი დღეს თუ ხვალ დედები გახდებიან. ყოველი მათგანის სიტყვაში მომავალი მშობელი და აღმზრდელი, მშრომელი და მოქალაქე ჩანს.

**აგერ** რუსთავიც. ავტობუსმა მარჯვენა მხრის ახალდასახლება გაიარა და მტკვარს გადაევლო, ხიდის მარცხენა ყურეზე შედგა. მივადექით სარწყავი სისტემის სათავეს და რაბებს. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ნაგვერდალა ფიცრების ფარდულში რვა მჭედელი მუშაობდა, ირგვლივ კი გარეული ტახების საყვარელი ტყე და ბარდნალებში დამალული ბუნაგები იყო.

არხის სათავიდან იწყება საქალაქო ბაღი. ძველი რუსთავის კედლების გარშემოვლით ქალაქის ბოლომდე აღწევს. ეს ის ტყეა მდინარის სანაპიროზე, სადაც მოიჯარე ნადირობდა ტახებზე. ტყიდან გამოუკაფავთ უშნო ჯაგები და ეკალ-ბარდები. იარეთ თავისუფლად, სადამდეც გენებოთ, რა საიდუმლოდ და

მოსათვალავს მალე თქვენც ჩაიმღერებთ, როცა ხიდიდან მარტენის ღუმელებამდე გაწოლილ მწვანეს გაჰყვებით. მწვანე კი არა, ფიჭვის, სოჭის, გუნდის, ნეკერჩხლის, კაკლისა და მარადმწვანე ბუჩქნარის ტევრია.

დიდება შენ, ლენინის შუბლო, დიდება ქართველი კაცის მარჯვენავ, აქ ასეთი სიმდიდრე და მშვენება რომ შეგიქმნია. უდაბური ხრიოკი ადამიანის საცხოვრებელ ბაღდადად გადაგიქცევია.

რუსთავში გარეუბნის ცნება თითქოს არც იციან. მდინარის მარჯვნივ იაღლუჯის წვერამდე, მარცხნივ უდაბნოს გორაკებამდე ყველგან სულ ადამიანის გაშენებულ ხეთა ფოთლის შრიალი და ბალახის ბიბინია. მზე ძველებურად აჭერს, ქარიც ხშირად ქრის. მაგრამ ახლა რუსთავში ვეღარც ჯანის წამრთმევი სიცხე შეგაწუხებთ და ვეღარც ქარი დაგაკლებთ რამეს.

— აი როგორი გაზაფხული სცოდნია რუსთავს!

**საამაყოდ** ისიც გვეყოფა, რომ აქ, რუსთავში, ამ გაზაფხულზე წინანდელთან შედარებით უფრო მეტ და უკეთეს ლითონს აღნობენ. ძველი ტყეები მტკვრის პირას ხელუხლებლად დარჩენილა. ძველი რუსთავის კედლები გაუთხრიათ. ხეივნებში ისევ შრიალებენ ფოთლები, ქარხნების ეზოებში ათასფრად ციალებენ ყვავილები. იაღლუჯა და ახლომახლო ბორცვები ცხვრის ფარებით გადათეთრებულა.

დიდი, დიდი გაზაფხულია წელს რუსთავში, ლენინის პრემიის ცხრა ლაურეატის ქალაქში.

**ბორის ჩხეიძე.**

# ა ქ ვ თ ს ა ა მ ა ყ ო...

## სტუმრად ლაურეატის ოჯახში

**იგი** ამ ორიოდე თვის წინათ ვნახე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მაშინ რევაზ გამყრელიძე თავისი ძმის თამაზის სადოქტორო დისერტაციის დაცვას ესწრებოდა, რისთვისაც მოსკოვიდან სპეციალურად იყო ჩამოსული.

დისერტაციის დაცვამ წარმატებით ჩაიარა. თამაზს შემოეხვივნენ მისი ყოფილი მასწავლებლები, ამხანაგები, სტუდენტები, რევაზს, მის მშობლებთან ერთად, თითქმის ბოლოს მოუხდა თამაზთან მისვლა.

— ყოჩაღ, ბიჭო! — გადაეხვია იგი მასზე ორი წლით უმცროს ძმას.

შემდეგ კი რეზო მოიმწყვდიეს რკალში ნაცნობებმა და მეგობრებმა. ისინი ულოცავდნენ, რომ მისი შრომა აკადემიკოს ლ. ს. პონტრიაგინის, ვ. გ. ბოლტიანსკისა და ე. თ. მიშჩენკოს შრომებთან ერთად, რომლებიც გაერთიანდა მონოგრაფიაში „ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორია", ლენინურ პრემიაზე იყო წარდგენილი. მილოცვა ჯერ კიდევ ნაადრევი იყო, მაგრამ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს მონოგრაფია, რომელიც აკადემიკოს ი. ვინოგრადოვის სიტყვით რომ ვთქვათ „წარმოადგენს მათემატიკის ახალ განყოფილებას", ღირსეულ შეფასებას დაიმსახურებდა.

გავიდა რამდენიმე ხანი, და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილებით 1962 წლის ლენინური პრემია მეცნიერების დარგში ნაშრომების ციკლისათვის ჩვეულებრივი დიფერენციული განტოლებებისა და ოპტიმალური მართვის თეორიასა და რხევის თეორიაში მათი გამოყენების დარგში, რომლებიც გამოქვეყნებულია 1956-1961 წლებში, მიენიჭათ აკადემიკოს ლ. ს. პონტრიაგინსა და მის მოწაფეებს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორებს ვ. გ. ბოლტიანსკის, რ. ვ. გამყრელიძესა და ე. თ. მიშჩენკოს.

ამ სასიხარულო ცნობის გამოქვეყნების გამო ტელეფონით დავუკავშირდით ჩვენს თანამემამულეს რევაზ გამყრელიძეს მოსკოვში, სადაც იგი მუშაობს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სტეკლოვის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში.

მივულოცეთ ჩვენი გაზეთის მკითხველების სახელით უმაღლესი ჯილდო და ვთხოვეთ ორიოდე სიტყვით ეთქვა საპატიო წოდების მიკუთვნებასთან დაკავშირებით.

უპირველეს ყოვლისა, — გვითხრა ახალგაზრდა მეცნიერმა, — მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მთავრობასა და პარტიას აკადემიკოს პონტრიაგინის ხელმძღვანელობით შექმნილი სამეცნიერო შრომების ასეთი მაღალი შეფასებისათვის. მინდა მადლობა გადავუხადო აგრეთვე ჩვენს თანამემამულეებს, რომელთაგან ყოველდღიურად ვიღებ მრავალ მოსალოც დეპეშასა და ბარათს. ყოველივე ეს მავალებს მეტი ვისწავლო, მეტი ვიშრომო სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ამის შემდეგ ვეწვიეთ რევაზ გამყრელიძის ოჯახს, რომელიც თბილისში ცხოვრობს, და ვესაუბრეთ ახალგაზრდა ლაურეატის დედ-მამას.

— რეზოს საერთოდ არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი, — გვითხრა ვალერიან გამყრელიძემ — მის შესახებ მხოლოდ მისი მასწავლებლის პონტრიაგინისაგან თუ ვიგებთ. როგორც ლევ სიმონის-ძე აღნიშნავდა, რეზომ ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკოსების ყურადღება მეორე კურსიდანვე მიიპყრო. შემდეგ წლებში, განსაკუთრებით ასპირანტურაში სწავლისას, რეზო უშუალოდ პონტრიაგინის ხელმძღვანელობით მეცადინეობდა.

არ შემიძლია განსაკუთრებული პატივისცემით არ მოვიხსენიო გამოჩენილი საბჭოთა მათემატიკოსი პონტრიაგინი, რომელიც შესანიშნავი ადამიანია. მას ძალიან უყვარს რეზო და ყველაფერში ენდობა კიდევაც. როგორც მოგეხსენებათ, ლევ სიმონის-ძე უსინათლოა. იგი 13 წლისა იყო, როცა მარცხი შეემთხვა და სრულიად დაკარგა მხედველობა. მაგრამ არაჩვეულებრივი ნიჭისა და შრომისმოყვარეობის შედეგად მან 16 წლისამ დაამთავრა საშუალო სკოლა, 21 წლისამ — მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, 24 წლისა კი ამ უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

ლევ სიმონის-ძის უშუალო ხელმძღვანელობით რეზომ დიდ წარმატებებს მიაღწია, — განაგრძობს ლაურეატის მამა, — მაგრამ უმჯობესია ამ საკითხზე გავეცნოთ რეცენზიებს.

1956 წლიდან რ. გამყრელიძე აკადემიკოს პონტრიაგინთან ერთად მუშაობს ახალ პრობლემატიკაზე და აქვეყნებს შრომების ციკლს ოპტიმალური პროცესების მათემატიკური თეორიის საკითხებზე.

როგორც პროფესორი განტმახერი აღნიშნავს, „ამ თეორიის ყველაზე რთული და ყველაზე ნატიფი ნაწილი მთლიანად ემყარება რ. გამყრელიძის მიერ მიღებულ შედეგებს". ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ ფელდბაუმის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამჟამად არათუ წარმოებს გაანგარიშების ამოცანათა ამოხსნა რ. გამყრელიძის შრომებში მოცემული მეთოდებით, არამედ მუშავდება მართვის აპარატურაც, რომლის მოქმედების პრინციპი ამ მეთოდზეა დამყარებული.

ამ შრომისათვის ახალგაზრდა მეცნიერს 1960 წელს მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო ამჟამად პონტრიაგინთან და სხვა თანაავტორებთან ერთად — ლენინური პრემია.

რევაზ გამყრელიძის შრომების გარშემო გამოქვეყნებული რეცენზიების გაცნობის შემდეგ საუბარი კვლავ ახალგაზრდა ლაურეატზე ჩამოვარდა. დედას ვთხოვეთ გვითხრას რაიმე რეზოს ბავშვობაზე, რით იყო იგი გატაცებული მოწაფეობაში.

— რეზო ბავშვობიდანვე კარგად სწავლობდა — გვეუბნება რევაზის დედა, — ოთხი წლისა იყო, გერმანული ენის სწავლება რომ დავაწყებინე, ექვსი წლიდან სწავლობდა მუსიკას, ხოლო შვიდი წლიდან ინგლისურს.

სკოლაში განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა მათემატიკისადმი. უყვარდა ფიზიკა, ქიმია...

ვემშვიდობებით ბედნიერ მშობლებს, რომლებსაც მართლაც აქვთ საამაყო — ორი ვაჟი სასახელოდ აღუზარდეს დედასამშობლოს.

**ლარისა ხუხულური.**

# ს ა მ ა ი ს ო

**ვახტანგ ძნელაძე**

სალამი ვარდებს, მაისის ვარდებს,
გულში რომ უტკბეს სიმღერებს ანთებს.
ჩემი ყიჟინა სიცოცხლის ვაშად
მინდა გადაწვდეს ამ ბარს და ამ მთებს.

მფენი უკვდავი შუქის და მადლის,
საქართველოში მაისი დადის,
შეჰხარის მჭედლებს ახალი ყოფის
და მედგარ ჰანგებს აქუხებს მათთვის.

მოდის, არმია სიკეთის მცველთა,
მოყვრისთვის ფარი, მტრისათვის ელდა,
გაზაფხულია ხალხთა ძმობისა,
დე გაქრეს ყველგან სუსხი და სევდა!

ამ მოგუგუნე მზიანი დილის
რიხი და ეშხი ამშვენებს თბილისს,
მებაღისა თუ ბაღის ღიმილი
სადღეგრძელოა სიცოცხლის ტკბილის.

მოჩქეფს უბადლო ხმათა ნაკადად
სადიდებელი ხალხის ზრახვათა,
მისი სახელი არის მშვიდობა,
მიწა რომ ოქროს ყალმით დახატა.

მუსიკა გულთა, მუსიკა ფერთა,
ყვავილები და დროშები ერთად —
შეიგრძენ, დასტკბი, მაისის პირველს
გრგვინვით შესძახე — სალამი შენდა!

# ჩ ე მ ი უ ბ ა ნ ი

ფანჯრები სახლების თვალებია, დიდი და ნათელი თვალები. ფანჯრებით გადაჰყურებენ სახლები ქვეყანას, ფანჯრებიდან შესცინიან მზეს და ცის ნათელს. ფანჯრებში, როგორც თვალებში, იხატება სახლების სიხარული და მოწყენა. ამ თვალებით იძინებენ და იღვიძებენ სახლები: როცა თვალი გახელილი აქვთ, ღვიძავთ, როცა თვალს დახუჭავენ და მათი ნათება ჩაქრება, სახლები იძინებენ.

ჩემს სახლს ფართო და ნათელი ფანჯრები აქვს — მხიარული თვალები. სახლისა კი არა, ეს უფრო ჩემი თვალებია, ჩემი ოჯახის თვალები. ჩვენ ვანიჭებთ ამ ფანჯრებს სიცოცხლესა და სიხარულს. ჩემს ფანჯრებში — ჩემი სახლის ბრიალა თვალებში შუქი და ნათელი რომ დგას, ეს ჩემი ოჯახის ბედნიერების შუქი და ნათელია.

ჩვენ ამ ფანჯრებიდან ვეგებებით ახალწლის განთიადს და მაისის მზის ამობრწყინებას, აქედან ვუყურით საკენკს აივანზე შემოფრთხიალებულ ბელურებს, აქედან ვიწვევთ და ვეძახით მერცხლებს სადმე აქ, ახლოს, ჩვენი აივნის კუნჭულში მიაშენოს ბუდე და დაზარდოს ბარტყები, ამ ფანჯრებიდან ვეხმიანებით და მივესალმებით მეზობლებს, ქუჩას, უბანს, მთელ ქალაქს, მთელ ქვეყანას.

და ამ ფანჯრებიდან არა მარტო გაზაფხულს შევხარით და მზეს ვესიყვარულებით, აქედან ნათლად ვხედავთ ჩვენი ქალაქის, ჩვენი ქვეყნის წინსვლას და შენებას, ისე ნათლად, როგორც ამინდის, დღისა და ღამის ცვალებადობას.

ამ სამიოდე წლის წინათ აქ რომ დავსახლდით და ჩვენმა ფანჯრებმა პირველად გაახილეს თვალები, ჩვენს ქუჩაზე თვალის გასახარი ბევრი არაფერი ჩანდა. ქუჩა ერქვა, თორემ სად იყო ქუჩა! მტვერი, ტალახი, გუბე... აქა-იქ იდგა სახლები. უფრო მეტი ხარაჩოები იყო...

შარშან კი ვაჟა-ფშაველას პროსპექტი დაარქვეს ჩვენს ქუჩას, და ისე შეიმნო და შეიფერა, თითქოს დაბადებიდანვე გაზონებითა და ყვავილნარებით მოქარგული ასფალტიანი გზებით ევლოს.

დიდი ვაჟას წინაშეც არ შედრკა და არ დაირცხვინა, განიერი მკერდი გვიჩვენა და გვითხრა: ვაჟასავით ლაღი და მხრებგაშლილი, ხუჭუჭა და შუბლნათელი ვარო.

ჩემი ფანჯრიდან მარტო ქუჩა კი არა, მთელი უბანი ხელისგულივით მოჩანს. ისიც ჩემს თვალწინ დაიბადა და გაიზარდა. ჩვენი სახლის მახლობლად მეზობელ ქუჩაზე ახალი მაღაზია გახსნეს და მაშინვე ჩვენი მაღაზია დავარქვით. შარშანწინ იქვე ახალი სკოლა ააგეს, ახლა აქ სწავლობენ ჩემი ბავშვები, ასე მგონია შვილიშვილებიც აქ ისწავლიან და როგორ შემიძლია მას ჩვენი სკოლა არ ვუწოდო. ახლოს კინოთეატრი გაგვიხსნეს, ესეც ჩვენია... ასე გაჩნდა ჩემი უბანი, ასე დაიბადა და გაღვივდა მისდამი სიყვარული.

ჩემი ქუჩა, ჩემი უბანი, ვამბობ დღეს და ეს ისე ტკბილად და ალერსიანად ისმის, თითქოს მეთქვას, დედაჩემიო.

ვამბობთ დედამიწა, დედასამშობლო, დედაქალაქი და ყველაფერი ეს ჩვენია და საყვარელია, მაგრამ როცა ვიტყვით — დედა, ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი ერთად იგულისხმება — ყველა სიყვარული და ყველა სიკეთე.

და როგორც ყველა სიყვარული დედის უბიდან იწყება, ასე მგონია ჩემი უბნიდან, ჩემი ქუჩიდან, ჩემი კერიდან, ჩემი ფანჯრიდან იწყება ჩემი სამშობლოს ყველა სიკეთე და აღორძინება.

**მ. მიქაძე.**




ვაჟა-ფშაველას პროსპექტი.

ნახ. ვ. კაიდარაშვილისა.



კვამე ნკრუმა



პაბლო პიკასო



ოსკარ ნიმეიერი



ფაიზ აჰმად ფაიზი



ოლგა პობლეტე დე ესპინოზა

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

## „ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ

(ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲨᲘ 1962 ᲬᲚᲘᲡ 20 ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲖᲔ)

[illegible]

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲤᲐᲘᲖᲘ

[illegible] კი არა, რომ ფაიზი პოეტია. ათასნაირ სიმწარესთან ერთად ცხოვრებას მარტოობის სიმწარე არასოდეს არ უგემინებია ოთხმოცი წლის ძხატვრისათვის. პიკასო ვერ იტყოდა: „არავინ მოდის, გულო, შენთან არავინ მოდის, ზურგი აქცია ყველამ ცივად შენს ღაღიღლოდინს“. პიკასოს არც ერთ სურათს არა აქვს საფრანგეთის რომელიმე ციხეში ყოფნის დროის აღმნიშვნელი თარიღი. პიკასო ყოველთვის თავისი სახელოსნოდან ებრძოდა უკეთურობასა და ადამიანის მონობას. ფაიზი კი ყარაჩისა და ლაჰორის ყველა ციხე-დილეგს იცნობს. თავისი ლექსების უმრავლესობაც ამ ციხეებში აქვს დაწერილი. მრავალი წლის მანძილზე როგორც მეგობარს, ძვირფას ადამიანსა და ხელთამპყრობელს ისე უხმობდა თავისუფლებას ბნელი საკნიდან: „ჩემს უდაბნოში, სადაც მარტოდ ვარ დამწყვდეული, იასამნად, ვარდად ჰყვავის შენი სხეული“.

1958 წლის ოქტომბერში აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე ჩამოსულ ფაიზს ჯერ კიდევ ციხის ფერი ედო. ის ერთი იმ სტუმართაგანი იყო, რომელსაც ყველა სცნობდა, კონფერენციის მონაწილენიც და თვით ტაშკენტელებიც...

კონფერენციის მეორე თუ მესამე დღეს, ალიშერ ნავოის თეატრის შესასვლელთან (კონფერენცია ამ თეატრის შენობაში მიმდინარეობდა), ერთი ცისფერთვალა, უზბეკურად გამოწყობილი კაცი ამაოდ უმტკიცებდა კარისკაცს, დელეგატი ვარ და შემიშვით. კონფერენციაზე ყოფნა მთელ ტაშკენტს უნდოდა. ერთი თეატრის შენობაში ყველა მსურ-[illegible] თვალი, სიცილით წამოვიდა. ნაზიმს გაუმარჯოსო, ხელი მხარზე დაჰკრა ცისფერთვალა კაცს და კარისკაცს მიუბრუნდა. „ჰიქმეთია“, თქვა ფაიზმა.

„რადგან ფაიზი ამბობს, ჰიქმეთიც რომ არ იყო, მაინც შებრძანდით“, უხერხული ღიმილით მიმართა ურწმუნო კარისკაცმა ჰიქმეთს.

ტაშკენტის კონფერენციაზე დასწრებას ფაიზ აჰმად ფაიზს უნდა უმადლოდეს, მერე თავის სიტყვაშიც კი იხუმრა ნაზიმ ჰიქმეთმა.

ტაშკენტის კონფერენციაზე ფაიზმა მრავალი მეგობარი შეიძინა. „ჩემს მარტოობას ბოლო მოეღო“, ამბობდა მერე იგი ერთ-ერთ თავის ლექსში.

ტაშკენტში გაიცნეს პირადად ფაიზი გიორგი ლეონიძემ, ირაკლი აბაშიძემ, სიმონ ჩიქოვანმა, დემნა შენგელაიამ, რომლებსაც დღესაც ალბათ ბევრი რამ კარგი და კეთილი მოაგონდებათ დიდი მეგობრობით გახარებულ პოეტზე. ირაკლი აბაშიძემ მერე ფაიზის რამდენიმე შესანიშნავი ლექსიც თარგმნა („მარტოობა“, „მოგონება“, „ფიქრები“, „ო, ნუ მთხოვ პირველ სიყვარულის თავდავიწყებას“) და კიდევ მრავალი უცნობი მეგობარი შეიძინა სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ პაკისტანელ პოეტს.

ის ბარათი კი, რომელმაც ტაშკენტის კონფერენცია გამახსენა გაზაფხულის ამ ულამაზეს დღეს, ფაიზ აჰმად ფაიზმა თავისი ხელით ჩაწერა ჩემს უბის წიგნაკში.

იმხანად ჩვენი საყვარელი თბილისის ათას ხუთასი წლისთავის ზეიმისათვის [illegible] წად.

დიდად მოხარული ვარ, რომ ქართველმა ხალხმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავი დააღწია სხვათაგან ჩაგვრას და ამაყად მიდის თავისუფლებისა და პროგრესის გზით.

ფაიზ აჰმად ფაიზი,
ტაშკენტი,
1958 წლის 12 ოქტომბერი“.

საგულისხმო და სასიხარულოა, რომ პიკასო და ფაიზი დღეს ერთად არიან.

ორი ადამიანების ამ დიდი მეგობრობისა და ერთიანობის, კეთილგონიერების იმედით გულმოცემული კითხულობს ფაიზი: „რატომ არ შევკრებთ მთელ მიწის სევდას და ქვეყნის თვალწინ არ დავწვავთ ერთად?“

ამ ფიქრით დადის ქვეყნად ათასფრად მოხატული მაისიც, რომელიც სწორედ მთელი დედამიწის სევდის დასაწვავად აერთიანებს პაკისტანელ პოეტსა და ფრანგ მხატვარს.

გ. გოგიაშვილი.

# ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲘ ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ — ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲝᲮᲘᲚᲕᲐ

**ტოკიო**, 30 აპრილი. (საკდესი). დღეს იაპონიაში ტოხოკუსა და კანტოს რაიონებში მოხდა მიწისძვრა. მისი ეპიცენტრი იყო ზღვის ქვეშ 40 კილომეტრ სიღრმეზე იბარაკის პრეფექტურის სანაპიროსთან. ქალაქებში ფუკუსიმაში, სენდაისა და მორიოკაში მიწისძვრის ძალა, იაპონიის მეტეოროლოგიური სამმართველოს მონაცემებით, შეადგენდა 4 ბალს შვიდბალიანი სკალით.

მიწისძვრის შედეგად ტოხოკუს რკინიგზის მაგისტრალზე მთელ რიგ ადგილებზე დაზიანდა ლიანდაგი. ლიანდაგის გადანაცვლების გამო რელსებიდან გადავარდა სატვირთო მატარებელი. მოძრაობა შეწყდა აგრეთვე უმეგაძავისა და სემინეს სადგურების რაიონში. ქალაქ სიოგამის ხელისუფლებმა ცუნამის შიშით მოახდინეს სანაპირო რაიონების მოსახლეობის ევაკუაცია.

როგორც იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაცია იუწყება, მიწისძვრის შედეგად მომხდარი ჩამოზვავების გამო მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში არის ადამიანთა მსხვერპლი.

**ბანგკოკი**, (საკდესი). 29 აპრილს აქედან ვიენტიანში გაემგზავრა ლაოსელ მეამბოხეთა დელეგაცია ბუნ უმისა და ფუმი ნოსავანის მეთაურობით.

გუშინ ფუმი ნოსავანი გამოვიდა პრეს-კონფერენციაზე და აღნიშნა, რომ ბანგკოკში ოთხი დღის ყოფნისა და ტაილანდის მაღალი თანამდებობის პირებთან მოლაპარაკების დროს ვიენტიანის დელეგაციას ტაილანდი დაპირდა სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას იმისათვის, რომ ებრძოლოს ლაოსის კანონიერ მთავრობას, რომელსაც პრინცი სუვანა ფუმა მეთაურობს.

მან განაცხადა: ვიენტიანის დელეგაციას აღუთქვეს, რომ „ლაოსის პრობლემა პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიური თვალსაზრისით გადაიჭრება ტაილანდის დახმარებით“.

ლაოსში ტაილანდის სამხედრო ჩარევის არაორაზროვანი მუქარა პირწმინდად უარყოფს მსჯელობას იმის შესახებ, რომ საჭიროა ლაოსის ერთობა, თავისუფლება, სუვერენიტეტი და მტკიცე ნეიტრალიტეტი, რაც მოცემულია დღეს გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში.

ბანგკოკის ვიზიტი პირველი ვიზიტი იყო ვიენტიანელ მეამბოხეთა ლიდერების მოგზაურობებიდან სამხრეთ კორეაში, სამხრეთ ვიეტნამსა და მალაიაში, სადაც იმედი აქვთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა პოვონ.

# Გ. ᲢᲘᲢᲝᲕᲘ ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲨᲘ

**ნიუ-იორკი**, 30 აპრილი. (საკდესი). გუშინ საღამოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში ხანმოკლე შესვენების შემდეგ გ. ს. ტიტოვი მანქანით გაემგზავრა ნიუ-იორკის დასათვალიერებლად.

მეხუთე ავენიუზე გერმანე ტიტოვი მანქანიდან გადმოვიდა და გაიარა როკფელერთა ცენტრისაკენ. იგი მყისვე იცნეს, მის ირგვლივ შეჯგუფდა ათობით ადამიანი. მოგილოცავთ წარმატებას! ყოჩაღ! — აღტაცებით მიესალმებიან საბჭოთა კოსმონავტს ნიუიორკელები.

ხალხის ტალღა გამოარღვია და გერმანე სტეფანეს ძესთან მივიდა სამი ბავშვი. მათ ხელი ჩამოართვეს კოსმონავტს, სთხოვეს მიეცა რაიმე სუვენირი შეხვედრის სახსოვრად. ტიტოვმა მიაბნია მკერდზე კმაყოფილ ბავშვებს ნიშნები, რომლებზეც გამოსახულია კოსმოსური ხომალდი „აღმოსავლეთი-2“.

ბროდვეიზე მოძრაობა შეფერხდა. ქუჩის სავალ ნაწილზე გამოფენილმა ფოტოგრაფებმა შეაჩერეს მანქანების ნაკადის მოძრაობა. რომელიღაც რეპორტიორი ძლივს მივიდა ტიტოვთან და შეეკითხა: „რა შეგიძლიათ თქვათ ნიუ-იორკის ფართო გზის — ბროდვეის — შესახებ?“ მაგრამ იქვე ჩაერია ახალგაზრდა ჭაბუკი და ურჩია რეპორტიორს, უკეთესი იყო ეკითხა კოსმონავტისათვის „იოლის ნახტომის“ შესახებ. გაისმა სიცილი.

შემდეგ გერმანე ტიტოვი შევიდა კინოთეატრ „კამეოში“, სადაც უჩვენებენ საბჭოთა ფილმს კოსმოსში მისი გაფრენის შესახებ. სწორედ ამ მომენტში ეკრანზე ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრებოდა გ. ტიტოვს. მოხერხებული ამერიკელი ოპერატორები განაგრძობდნენ გადაღებას კინოთეატრის დარბაზში და ჩართეს კაშკაშა ნათურები. მაყურებლები მობრუნდნენ მოელვარე პროჟექტორებისაკენ და მოულოდნელად დაინახეს საბჭოთა გმირი, რომელიც თითქოს ეკრანიდან გადმოვიდა დარბაზში, გაისმა მქუხარე ტაში.

# ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐᲖᲔ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ

**მოსკოვი**, 29 აპრილი. (საკდესი). 3 მაისს რიო-დე-ჟანეიროში იხსნება პირველი საბჭოთა სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა — ამ წლის ყველაზე დიდი საბჭოთა გამოფენა უცხოეთში.

გამოფენის გასახსნელად საბჭოთა მთავრობამ დანიშნა დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი.

დღეს „ილ-18“ თვითმფრინავით დელეგაცია მოსკოვიდან გაემგზავრა. იმავე დროს ბრაზილიაში გაფრინდა საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

გამგზავრების წინ ნ. ს. პატოლიჩევმა თქვა:

რიო-დე-ჟანეიროს გამოფენას დიდი მნიშვნელობა აქვს ბრაზილიასთან — ლათინური ამერიკის უდიდეს ქვეყანასთან — ჩვენი სავაჭრო ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისათვის. ჩვენი ვაჭრობა ამ ქვეყანასთან არცთუ ისე დიდი ხნის წინათ დაიწყო, მაგრამ უკვე მიღწეულია კარგი შედეგები და ყველა საფუძველი გვაქვს იმედი ვიქონიოთ, რომ იგი არსებითად გაფართოვდება.

გამოფენა ბრაზილიელ ხალხს მოუთხრობს საბჭოთა კავშირის ცხოვრებაზე, მის მიღწევებზე ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში.

## ᲡᲐᲚᲐᲖᲐᲠᲘᲡ ᲝᲮᲠᲐᲜᲙᲐ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ

**ლონდონი**, 30 აპრილი. (საკდესი). მეშახტეთა ქალაქ ალჟუსტრელში (სამხრეთი პორტუგალია) საპირველმაისო დღესასწაულის წინ მუშათა სისხლი დაიღვარა. პოლიცია თავს დაესხა სალაზარის ოხრანკის მიერ ორი პატრიოტის დაპატიმრების საწინააღმდეგო საპროტესტო დემონსტრაციის მონაწილეებს. დაპატიმრებულთ ბრალად დაედოთ ის, რომ ისინი არიან 1 მაისისათვის დასახული იმ გაფიცვებისა და დემონსტრაციების ორგანიზატორები, რომლებიც აკრძალა პორტუგალიის მთავრობამ.

ოხრანკა სასტიკად გაუსწორდა დემონსტრანტებს. რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ლისაბონიდან იუწყება, რომ მოკლულია ორი დემონსტრანტი, რამდენიმე კაცი დაჭრეს და 15 დააპატიმრეს.

# ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲙᲛᲘᲚᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ

**ვაშინგტონი**, 30 აპრილი. (საკდესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრის ჰ. მაკმილანის მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შესახებ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს საერთაშორისო პრობლემები და, კერძოდ, „განიარაღებისა და ატომური იარაღის გამოცდისადმი კონტროლის პრობლემები“.

კომუნიკე შეიცავს ცდას გაამართლონ შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება. კენედი და მაკმილანი „სინანულს“ გამოთქვამენ იმის გამო, რომ საბჭოთა მთავრობამ თითქოს „არ ისურვა დაედო ეფექტიანი ხელშეკრულება, რომელიც ბოლოს მოუღებდა ატომური იარაღის გამოცდას“. კომუნიკეში შემდეგ ნათქვამია, რომ პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა „გამოთქვეს თავიანთ მთავრობათა მტკიცე გადაწყვეტილება კვლავაც მიაღწიონ პროგრესს განიარაღების გზაზე, მათ შორის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვას“.

პრეზიდენტმა, აღნიშნულია კომუნიკეში, აცნობა პრემიერ-მინისტრს სახელმწიფო მდივან რასკსა და საბჭოთა კავშირის ელჩის დობრინინის ამასწინანდელი საუბრების შესახებ. პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის აზრით, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ამ და სხვა კონტაქტების შენარჩუნებას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათ დაადასტურეს „თავიანთი მზადყოფნა განიხილონ მთავრობათა მეთაურების თათბირის მოწვევის საკითხი ყოველთვის, როცა არის ნიშნები, რომლებიც მიუთითებენ, რომ ასეთი თათბირები ხელს შეუწყობს მშვიდობისა და ურთიერთგაგების ინტერესებს“.

მაკმილანმა აცნობა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, რომ ამას წინათ ბრიუსელში გაიმართა მოლაპარაკება ინგლისსა და ევროპის ეკონომიურ გაერთიანებათა შორის.

კენედიმ და მაკმილანმა აგრეთვე განიხილეს ნატოში არსებული მდგომარეობა ამ ორგანიზაციის საბჭოს მომავალი ათენის თათბირის მიხედვით, მდგომარეობა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ურთიერთ სავაჭრო ინტერესების პრობლემები.

# ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

დილიდანვე მხიარული ყიჟინაა ფართო ეზოში. ჭაბუკები და ქალიშვილები აუდიტორიებისაკენ მიიჩქარიან. მათ შორის ადვილად გამოიცნობთ აზიელ, არაბ, ზანგ ახალგაზრდებს. ისინი ქართველ, რუს, უკრაინელ და საბჭოთა ქვეყნის სხვა ეროვნებათა სტუდენტებთან ერთად ერთ ჭერქვეშ სწავლობენ, ჭედავენ თავიანთ მომავალს, თავიანთი ქვეყნების კეთილდღეობას.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში 59 უცხოელია, მათ შორის 38 — შავი კონტინენტის წარმომადგენელი. აქ ნახავთ კენიელ, ტანგანიკელ, ზანზიბარელ, როდეზიელ, კონგოელ, სუდანელ, ნიგერიელ, სიერალეონელ და სომალელ ჭაბუკებს. სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივმა ცოდნის დაუფლების ყველა პირობა შეუქმნა აფრიკელ და აზიელ ძმებს. ზოგადსაგანმანათლებლო ფაკულტეტის დეკანატი, ქართველი სტუდენტები მათ მეგობრულ დახმარებას უწევენ სწავლასა და დასვენებაში. სტუმრები წარმატებით ეუფლებიან რუსულ ენას, შემოდგომიდან კი ყველა მათგანი ამორჩეული სპეციალობის მიხედვით ისწავლის უმაღლეს სასწავლებელში. რამდენიმე წელიწადიც, და თავისუფალ აფრიკას ეყოლება თბილისში, მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში მომზადებული ექიმები, ინჟინრები, აგრონომები, მექანიზატორები.

საბჭოთა და აფრიკელი ჭაბუკები მეგობრულად ცხოვრობენ. ეს ძმობა გააღრმავა თებერვალში კომკავშირის კომიტეტთან შექმნილმა მეგობრობის კომიტეტმა. მისი ინიციატივით მოეწყო ექსკურსიები თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში, რუსთავში. ზამთრის არდადეგების პერიოდში მათ იმოგზაურეს თბილის-ბათუმ-ოდესის მარშრუტით.

ი. ივანიშვილი.

• • •

სურათზე: აფრიკელი და აზიელი ახალგაზრდები ქართველ სტუდენტებთან ერთად.

ფოტო ბ. დადვაძისა.



# ᲯᲐᲜᲦᲘᲚᲝᲜᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ

**1962 წლის 1 მაისს** — კაცობრიობის გაზაფხულის დღეს სიხარული, ბედნიერება მოაქვს შრომის სამყაროსათვის.

ჩვენს ხალხს ათეული წლები დასჭირდა, რომ განეხორციელებინა მაშვრალთა დიდი ოცნება, დაემყარებინა შრომის სუფევა.

პირველი მაისის გამარჯვებული დროშა ახლა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილზე ფრიალებს.

მილიონობით ადამიანები კი ახლა ეროვნული თავისუფლებისათვის, პოლიტიკურ-ეკონომიური, კულტურული განთავისუფლების ყველა საჭირო პირობის მოპოვებისათვის იბრძვიან.

თუ ისტორიული თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ცხადზე უცხადესია, რომ კაპიტალიზმის, იმპერიალიზმის ბატონობის რთულ სისტემას იქ, მათს სამყაროში, წყალი აქვს შემდგარი. ბაბილონის ეს გოდოლი განწირულია. მაგრამ არ იქნებოდა სწორი, ზედმეტ ილუზიებს მივცემოდით. უბრძოლველად ისინი აქაურობას არ დატოვებენ.

მსოფლიო რეაქციის ძალებს ახლა იანკის იმპერიალიზმი თავკაცობს.

ტალეირანმა ერთხელ თქვა, „პოლიტიკა ბინძური ხელობაა“. ეს ძველი აფორიზმი იმპერიალისტური პოლიტიკის დახასიათებისათვის ახლაც გამოდგება.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები ცდილობენ თავიანთი სიშიშვლე როგორმე დაფარონ.

ორი წლის წინათ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა ძალებმა სახელმწიფოს ხელმძღვანელობაში მნიშვნელოვანი გადაჯგუფება მოახდინეს. ეს ოპერაცია ჯონ კენედის პრეზიდენტად არჩევასთან იყო დაკავშირებული. კენედიმ თავის გარშემო კაპიტალისტური წრეების საშუალო და ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური ელიტა შემოიკრიბა, რომელსაც ევალებოდა რაღაც ახალი სული ჩაებერა ქვეყნის სხეულში, თოთო ვაზის ფოთლით დაეფარა არც თუ ისე სააშკარაოზე გამოსატანი მოქმედება.

რამდენიმე ხნის წინათ პოპულარული ამერიკელი მიმომხილველი ჯოზეფ ოლსოპი ვაშინგტონიდან ჰონკონგში გაფრინდა. წყნარ ოკეანეს რომ გადაუფრინა, იქ მდებარე აღდგომის კუნძულს გადახედა, მას ჟურნალისტური მუზა მოერია, იქვე პორტატულ მანქანაზე მიმოხილვა დაბეჭდა, თვითმფრინავიდან რადიოთი გადასცა ამერიკულ გაზეთებს.

ჯოზეფ ოლსოპი ამ მიმოხილვაში, პირველ რიგში, პრეზიდენტ კენედის მთავრობის „ახალ სტილზე“ მსჯელობდა.

ოლსოპი ასე ახასიათებს მთავრობის ამ „ახალ სტილს“. ახლა ვაშინგტონში ყოველგვარი დრამატიზმის გარეშე ისევ ძველ, დიდ საქმეებს აკეთებენ, მხოლოდ ამის შესახებ ნაკლებად ხმაურობენ, „ჩუმად“ აკეთებენ ამ „საქმეებსო“.

ამას ოლსოპი ამ ორიოდე კვირის წინათ წერდა. მაშინ ამერიკელები ჩუმად ამზადებდნენ იმ აქციას, რომელიც მათ თავს დაატეხეს მსოფლიოს აპრილის ბოლო დღეებში.

აღდგომის დღეებში აღდგომის კუნძულზე მსოფლიომ თერმოატომგულის აფეთქებისაგან წარმოქმნილი დიდი სოკო იხილა.

ახლა მსოფლიოს ეთერი, გაზეთები, ჟურნალები, ყოველი სახის პროპაგანდისტული იარაღი იქითკენ არის მიმართული, რომ როგორმე გაამართლოს ეს ადამიანთა მოდგმის წინაშე შეუწყნარებელი ბოროტმოქმედება.





მაისის ცხრათვალა მზე.

ნახ. ი. კალაძისა.

მაგრამ ვინ დაუჯერებს ამერიკული მასშტაბით წარმოებულ ამ პროპაგანდისტულ ორომტრიალს.

„ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო“, უთხრა ქართველმა გლეხკაცმა მამლის ქურდს. პენტაგონის პროპაგანდისტები ახლა დემაგოგიურად იმას გაიძახიან, რომ თითქოს ეს აფეთქებები „თავისუფალ სამყაროს“ იცავს რომელიღაც მითური ძალების შეტევისაგან. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ სწორედ ამერიკელებმა მსოფლიოში პირველმა შექმნეს ატომური იარაღი. მათ პირველმა გამოიყენეს ეს იარაღი, ატომის ცეცხლში დაწვეს იაპონიის ქალაქები ხიროსიმა და ნაგასაკი. ამერიკელებმა პირველმა დაიწყეს თერმოატომური იარაღის მასობრივი წარმოება.

ეს ისტორიული ფაქტია, რომელსაც ვერავინ ვერ უარყოფს, ვერც „ჩუმი“ და ვერც მყვირალა პროპაგანდისტები. ამერიკის მოკავშირემ — საფრანგეთმა დაარღვია შეთანხმება ატომგულის იარაღის ჰაერში გამოცდისაგან თავის შეკავების შესახებ. თვით ამერიკელები სისტემატურად განაგრძობდნენ ატომგულის ახალი იარაღის მიწისქვეშ გამოცდას.

ასეთ პირობებში უდიდესი უგუნურება იქნებოდა, რომ ჩვენს სახელმწიფოს არ მიეღო აუცილებელი ზომები თავდაცვის მიზნით.

ახლა კი, „ჩემი შენ გითხარიო“, ამაოდ ცდილობენ პენტაგონის მოღვაწეები საბჭოთა კავშირს გადააბრალონ თავიანთი დანაშაულებრივი მოქმედება.

აღშფოთებული კაცობრიობის მრისხანე პროტესტი არა ნაკლები სიძლიერით ისმის, ვიდრე ატომგულის იარაღის ის შემზარავი ხმა, წყნარი ოკეანის პატარა აღდგომის კუნძულიდან მსოფლიოს რომ მოედო.

„ჩუმი ამერიკელები“ თავიანთ მზაკვრულ მოქმედებას მარტო ატომგულის გამოცდის სფეროთი როდი ფარგლავენ. ბიზნესმენი ჯენტლმენების „ახალი სტილი“ პოლიტიკური ცხოვრების სხვა მრავალ სფეროში მჟღავნდება.

იგივე ჯ. ოლსოპი წერდა: „ახლა ვიეტნამში ჩუმად კეთდება დიდი საქმე... იქაურ ომში ამერიკის არმიის მონაწილეობა გარკვეულ ვალდებულებას ნიშნავს, ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიგოთ ეს ომი, უნდა მოვიგოთ რაღაც უნდა დაგვიჯდეს“. მაშასადამე, ეს „ახალი სტილი“ ნიშნავს კოლონიურ ომების წარმოებას.

საეჭვოა, ძუძუმწოვარა ბალღმაც კი დაიჯეროს, რომ ეს პოლიტიკის რაღაც „ახალი სტილია“. ეს „სტილი“ საუკუნეებს ითვლის, და სწორედ ახლა, ჩვენს დროში მან სრული მარცხი განიცადა.

ოლსოპი ერთ დებულებას უსვამს ხაზს: პენტაგონმა და კენედის ადმინისტრაციამ „ერთი ძველი იდეაც ჩააბარეს არქივსო“. „ეიზენჰაუერის ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმა იმ ვარაუდს ემყარებოდა, რომ ახალი ომი თერმოატომური იარაღის გამოყენებით დაიწყება, „ახალი იდეები“ კი სხვა სტრატეგიული კონცეფციიდან გამოდიან, კენედის ადმინისტრაცია კი ფიქრობს, რომ მომავალი ომი აუცილებლად თერმოატომური იარაღის გამოყენებით შეიძლება არ დაიწყოს, ის უფრო ძველი ტრადიციული ომების ფარგლებში მოექცევა და შეიძლება გლობალური საერთაშორისო კონფლიქტის ხასიათი არ მიიღოს“.

ასეთი დემაგოგიური ხასიათის მსჯელობა ამერიკის მოსახლეობის დასაწყნარებლად და დასამშვიდებლად არის მოგონილი. ომი შეიძლება ასეც დაიწყოს და სხვაგვარადაც, მაგრამ საკითხავია, მაგალითად, თუ ერთი მხარე ამ ყბადაღებული „ტრადიციული“ ომის წაგებას დაიწყებს, განა არ იხმარს ყოველ იარაღს, რომელიც მის განკარგულებაშია, რათა თავი დააღწიოს დამარცხებას.

იანკების ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მესვეურთა „ძველი“ თუ „ახალი“ სტილის, „ჩუმი“ თუ „მყვირალა“ პოლიტიკის აქილევსის ქუსლი ისტორიის თანამედროვე ეტაპის სრულ გაუგებრობაში უნდა ვეძიოთ.

ახლა სხვა დროა, საოკუპაციო ჯარებით, „ლოკალური“ ომებით, ახალი თერმოატომური იარაღით დაშინების პოლიტიკით სხვადასხვა ჯურის ავანტიურებით ხალხების დამორჩილება შეუძლებელია.

ძლევამოსილი წითელი საპირველმაისო დროშით, გამარჯვების ალმით ათეული წლები იმიტომ კი არ იბრძოდა მშრომელი კაცობრიობა, რომ ახლა ვინმეს დაუთმოს ოფლით, ტანჯვით, სისხლით მოპოვებული თავისუფლება.

ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე სამყარო წინ მიდის და არავის არ ძალუძს წინ აღუდგეს ისტორიის მსვლელობას.

ალ. მაშავარიანი.

# ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲙᲝᲜᲢᲘᲜᲔᲜᲢᲖᲔ

**ოტავა**, 29 აპრილი. (საკდესი). კანადის კომპარტიის ეროვნული აღმასკომი თავის განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდის განახლება ატმოსფეროში „მიზნად ისახავს იმას, რომ ძირი გამოუთხარონ განიარაღების კონფერენციას და მასთან ერთად საყოველთაო განიარაღების იმედი დაუკარგონ ადამიანებს“, რომ „ხელი შეუშალონ ატომური ბომბის აკრძალვის შესახებ შეთანხმების მიღწევას“, რომ „გააძლიერონ გამალებული ატომური შეიარაღება“.

**კანბერა**, 29 აპრილი. (საკდესი). ავსტრალიის უდიდეს სამრეწველო ცენტრებში — სიდნეისა და მელბურნში დღეს გაიმართა მშვიდობის მომხრეთა მასობრივი საპროტესტო დემონსტრაციები იმის წინააღმდეგ, რომ შეერთებულმა შტატებმა განაახლეს ატომური იარაღის გამოცდა ატმოსფეროში შობის კუნძულზე.

სიდნეის გარეუბნებიდან მრავალი ათასი ავსტრალიელი გაემართა პლაკატებითა და ტრანსპარანტებით ქალაქის ცენტრისაკენ. დემონსტრაცია დამთავრდა გიგანტური მიტინგით.

**ტოკიო**, 29 აპრილი. (საკდესი). ამერიკული ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ ტოკიოსა და ხიროსიმაში გაიმართა მჯდომარე გაფიცვები, რომელთა მონაწილეებმა გამოაქვეყნეს მოწოდება. მოწოდებაში, კერძოდ, ნათქვამია:

ჩვენ, ტოკიოსა და ხიროსიმაში გამართული მჯდომარე გაფიცვების მონაწილენი მტკიცე პროტესტს ვაცხადებთ ამერიკის შეერთებული შტატების ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ და მოწოდებით მივმართავთ ყველა ხალხს თავიანთი ძალღონე და ენერგია მოახმარონ მასობრივი მოსპობის იარაღის ლიკვიდაციისათვის ბრძოლას.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲔᲑᲖᲔ

**ბონი**, (საკდესი). გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი. პირველი მატჩი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებ გუნდთან გაიმართა ვუპერტალში. სსრ კავშირის გუნდმა მოიპოვა დამსახურებული გამარჯვება ანგარიშით 9:2.

**ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲣᲠᲒᲘ, 29 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. (ᲡᲐᲙᲓᲔᲡᲘ). ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲪᲣᲠᲐᲕᲛᲐ ᲕᲐᲚᲔᲜᲢᲘᲜ ᲙᲣᲖᲛᲘᲜᲛᲐ ᲓᲦᲔᲡ ᲛᲪᲣᲠᲐᲕᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲛᲐᲒᲓᲔᲑᲣᲠᲒᲨᲘ 200 ᲛᲔᲢᲠᲘ ᲒᲐᲪᲣᲠᲐ ᲑᲐᲢᲔᲠᲤᲚᲐᲘᲡ ᲡᲢᲘᲚᲘᲗ 2 ᲬᲣᲗᲡᲐ ᲓᲐ 16,6 ᲬᲐᲛᲨᲘ. ᲔᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ 0,6 ᲬᲐᲛᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲑᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲡ.**

**ნიუ-იორკი**, (საკდესი). 4 მეტრი და 92 სანტიმეტრი — ასეთი სიმაღლე აიღო ჭოკით ხტომაში ამერიკის შეერთებული შტატების 27 წლის სპორტსმენმა დეივ ტორკმა. ეს 2,5 სანტიმეტრით აღემატება წინანდელ საუკეთესო მსოფლიო მიღწევას, რომელიც ამას წინათ უჩვენა მეორე ამერიკელმა სპორტსმენმა ჯონ იულსესმა. ისევე როგორც იულსესი, ტორკიც ამერიკის საზღვაო ქვეით ჯარში მსახურობს.

# გამარჯობა, დიდო ფეხბურთო!



## სტადიონებისაკენ!

### ხვალ იხსნება ფეხბურთში სსრ კავშირის XXIV ჩემპიონატი

გზა მშვიდობისა!

...ასე ვამბობთ დღეს, პირველი მაისის ამ დღესასწაულის დღეს, როცა მოსკოვში, თბილისში, ქუთაისში, ლენინგრადში, კიევში, მინსკში, ერევანში, რიგასა და დონეცკში ალმართება საბჭოთა ფეხბურთელების XXIV ჩემპიონატის ალამი. რაც შეეხება როსტოველებს, ისინი საპირველმაისო დღესასწაულის დღეებში უკვე მეორე კალენდარულ მატჩს გამართავენ. სწორედ დონისპირელი ფეხბურთელები იყვნენ წლევანდელ სეზონში ჩემპიონატის „პიონერები“, რომლებსაც გასულ კვირას პირველი შეხვედრა ჰქონდათ ვილნიუსის „ჟალგირისთან“, რომელიც წინათ „სპარტაკის“ სახელწოდებით იყო ცნობილი.

ახლანდელი ჩემპიონატი იწყება განსაკუთრებულ პირობებში. ჩვენი ფეხბურთის 22 გვარდიელს პატივი ხვდა დაიცვას მისი დროშა მსოფლიოს ჩემპიონატში შორეულ ჩილეში. მათ შორის არიან მოსკოვის, კიევისა და თბილისის დინამოელები, დედაქალაქის სპარტაკელები, ცსკა-ს, „ტორპედოს“, „ლოკომოტივისა“ და როსტოვის არმიელთა კლუბის მოთამაშეები.

რაც შეეხება საქართველოს გუნდს, მან ნაკრების კოლექტივში გაისტუმრა თავისი „ხმალი და ხანჯალი“ — საუკეთესო დამცველი გივი ჩოხელი და იერიშის უაღრესად საშიში ვირტუოზი მიხეილ მესხი. ვფიქრობთ, რომ ამ ორი მოთამაშის, განსაკუთრებით ჩოხელის, არყოფნა გუნდში საგრძნობი იქნება. მაგრამ ფეხბურთის ქართველ მოყვარულებს შეუძლიათ თავი იმით ინუგეშონ, რომ სხვა უძლიერესი გუნდების საქმე კიდევ უფრო რთულია. რაც შეეხება „ტორპედოს“, იგი თითქმის მთელ პირველ წრეს ფაქტიურად დუბლშემადგენლობით ითამაშებს.

მაგრამ, როგორც იტყვიან, „წვრილმანებს ნუ გამოვეკიდებით“. ამჟამად საბჭოთა სპორტის ჭეშმარიტი პატრიოტების მთელი ფიქრები ჩვენს ნაკრებ გუნდთან არის, რომელსაც ვუსურვებთ მაქსიმალურ წარმატებას სპორტული ბრძოლის უმკაცრეს პირობებში.

დავუბრუნდეთ საშინაო საქმეებს. გავახსენებთ მკითხველებს „ა“ კლასის [illegible]

ვთქვათ, „სპარტაკის“ დუბლიორები. ამიტომ მეორე ქვეჯგუფში, უკვე სტარტზე, შეიძლება ყოველგვარ კაზუსებს ველოდოთ.

ვნახოთ, როგორია თბილისის „დინამოს“ შანსები. ჯერ ერთი, იგი შესამჩნევად უფრო სოლიდურად გამოიყურება იმასთან დაკავშირებით, რომ კოლექტივში, მეორედ მის ისტორიაში, მოვიდა ისეთი უაღრესად გამოცდილი ხელმძღვანელი, როგორიც არის სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი და სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ იაკუშინი. ეს არის დიდი ნებისყოფის, მომთხოვნელი ადამიანი, რომელსაც უყვარს დისციპლინა და არ გაანებივრებს ყველაზე სახელოვან ოსტატებსაც კი. იაკუშინი შესანიშნავი ტაქტიკოსია, ფეხბურთის ფანატიკოსია.

ჩვენს ფეხბურთში თბილისის „დინამოს“ სახელთან დაკავშირებულია ბევრი ნათელი ფურცელი, რომ შეიძლებოდეს შევურიგდეთ იმას, რომ უკანასკნელ წლებში საქართველოს უძლიერესი გუნდი მეშვიდე-მეცხრე ადგილებზე რჩება. გასულ წელს კიეველებმა გაბედულად დაარღვიეს მოსკოვის 25-წლიანი მონოპოლია ოქროს მედლებზე. თბილისელმა ფეხბურთელებმა კი, რომლებიც ოთხჯერ იყვნენ ვიცე-ჩემპიონები, რატომ არ უნდა მოიშორონ, ბოლოს, ნაწილაკი „ვიცე“. ასეთ წარმატებას ხომ ჩვენი ფეხბურთის ყველა ობიექტური მოყვარული მიესალმებოდა. მაგრამ ამისათვის საჭიროა ვარჯიში, ვარჯიში და ერთხელ კიდევ ვარჯიში!

ვფიქრობ, კოლექტივის ძირითადი ამოცანაა თავდაცვითი ხაზების განმტკიცება, მათი თამაშის ტაქტიკის გაუმჯობესება. რაც შეეხება თავდამსხმელებს, მათ კი არ უნდა უცდონ გასული წლის მიღწევებს, არამედ წინ უნდა იარონ.

როგორია ქუთაისის „ტორპედოს“ ახალგაზრდა გუნდის შანსები? [illegible]

„დინამოც“ ჩვენი ფეხბურთის შუქურებად, ისეთ გუნდებად რჩებიან, რომელთაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება როგორც ტექნიკასა და ტაქტიკაში, ისე მომზადების მეთოდებსა და ტრადიციებში.

თანამედროვე ფეხბურთი წარმოუდგენელია, თუ მწვავე შედეგიანი იერიში არ იქნა. [illegible]

დაწყებული სეზონი ჩილის ჩემპიონატის ნიშნით ჩაივლის. მაგრამ მასზე ახალი გავლენა ტაქტიკაში (ეს გავლენა კი ალბათ იქნება) კლუბებამდე ერთი-ორი სეზონის შემდეგ მიაღწევს. მანამდე კი ჩვენი გუნდები ითვისებენ და შემოქმედებითად ამუშავებენ ისეთ სისტემებს, როგორიცაა „1 + 4 + 2 + 4“, „1 + 3 + 3 + 4“ და თვით „1 + 4 + 3 + 3“. ზოგჯერ ისეთ გუნდები, როგორიცაა მოსკოვის „სპარტაკი“, ფეხბურთის წარმატებით თამაშობენ უწინდელი „დუბლ-ვეს“ სისტემით. [illegible]

იური ვანიატი.

## მოგზაურთალსა მოედანი...

### მ. იაკუშინი,
თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი.

მიმდინარე საფეხბურთო სეზონი უდავოდ გამოირჩევა გასული წლებისაგან. ბუნებრივია, რომ ყურადღება გამახვილებულია ჩილის გადამწყვეტი ბრძოლებისადმი, სადაც უძლიერესთა თუქსმეტეულში საბჭოთა ნაკრებიც შედის. ამ დიდმა მოვლენამ გარკვეული გავლენა მოახდინა საკავშირო ჩემპიონატზე.

მაგრამ აქ არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ერთ გარემოებას. პირველობაში მონაწილე კოლექტივებიდან ერთმა მეტად „დაზარალდნენ“, მეორენი კი კარგად გრძნობენ თავს. [illegible]

გავაკეთებ, მაგრამ ამით თავს არ ვიწონებ, თანდათანობით საქმე მოგვარდება.

ორი ქულა სტარტზე ვის არ სჭირდება, მათ შორის დინამოელებსაც. რამდენადაც ვიცი, „ნეფტიანიკი“ კარგ ფორმაშია და იოლად როდი დაგვნებდება. ვეცდებით კარგი თამაშით ერთად შედეგიც კარგი გვქონდეს.

### ვ. რამიშვილი,
ქუთაისის „ტორპედოს“ უფროსი მწვრთნელი.

ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდი წელს პირველად მიიღებს მონაწილეობას „ა“ კლასის კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატში. [illegible]





სურათებზე: (მარცხნივ) თბილისის „დინამოს“, (მარჯვნივ) ქუთაისის „ტორპედოს“ გუნდები.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.



სურათზე: ქუთაისის „ტრიუმფი“ (1922 წ.).

# მერცხლები

### თვითნაკერი ბურთები, მრელი მაისურები

მკითხველო, ფოტოსურათი, რომელსაც თქვენ ქვემოთ ხედავთ, გადაღებულია ამ ორმოცი წლის წინათ — ქართული ფეხბურთის გარიჟრაჟზე, 1922 წელს. მასზე აღბეჭდილია ქუთაისის ფეხბურთელთა გუნდი „ტრიუმფი“... მისი კაპიტანი, კუნთმაგარი ახალგაზრდა, 1929-დან 1934 წლამდე საბჭოთა კავშირის პირველი ქართველი რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში, გიორგი იაკობის-ძე შხვაცაბაია გახლავთ, დღეს ღვაწლმოსილი მეცნიერი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი, საკავშირო სოფლის [illegible]

ბათუმის კინოგაქირავების ინჟინერ-მექანიკოსი ქენია პოლშინი.

მკითხველმა შენიშნა ალბათ, რომ ჩამოთვლილთა შორის მხოლოდ სამის მისამართი და სამუშაო ადგილი ვერ დავასახელეთ. ისინი ცოცხლები აღარ არიან, სერგო ჯანელიძე სიჭაბუკეში გარდაიცვალა, ხოლო პეტრე კილაძე და სოსიკო ახოპაძე დიდ სამამულო [illegible]

— პეტრე კილაძე, ცენტრფორვარდი — საპროექტო ინსტიტუტის ინჟინერი რუბენ ბაგმანიანი, მარჯვენა გარემარბი — ელექტრომექანიკოსი ანდრონიკ სტეპანიანი, ბექი — სოსიკო ახოპაძე, ბურთთან ჩაჩოქილი გოლკიპერი — [illegible]

რამდენის მთქმელია მარტო ეს ფაქტი. იგი მოგვითხრობს იმ დიდ ხიფათურსა და ჰაეროვან გატაცებაზე, რაც ფეხბურთის ქუთაისის პირველმა მერცხლებმა გამოიჩინეს. ალბათ ბრაზილიელი ფეხბურთელები, რომლებსაც ბუცის მქერავი სპეციალური ოსტატი არისტოტელეს პერიერა ჰყავთ (ეს ის პერიერაა, რომელიც გასულ მსო- [illegible]

ფეხბურთის ვეტერანის მიერ ქუთაისელთა შორის იქნება გიორგი შხვაცაბაია. იგი პირველი შეიყვანს ბურთს თამაშში და გზას დაულოცავს თავის „შთამომავლებს“ დიდ სარბიელზე.

ეს პატივი მას ქუთაისელებმა დასდეს და მატჩზე მოიწვიეს როგორც საპატიო სტუმარი და ქუთათური ფეხბურთის ვეტერანი.

ზ. ბახტურიძე.

## საგულისხმო ციფრები

△ საკავშირო პირველობის რეკორდსმენად მოსკოვის „დინამო“ ითვლება, რომელიც ცხრაჯერ იყო ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი. ეს წოდება დედაქალაქის სპარტაკელებმა შვიდჯერ მოიპოვეს, არმიელებმა — ხუთჯერ, მოსკოვის „ტორპედომ“ და კიევის „დინამომ“ — თითოჯერ.

△ თუ გადავავლებთ თვალს გასული ჩემპიონატების სტარტებს, თბილისელებს თითქმის ყოველთვის თავიანთ მოედანზე უხდებოდათ ალმის ალმართვა.

როგორია უკანასკნელი 5 წლის მატჩების შედეგები ჩვენს მოედანზე ჩემპიონატის სტარტზე? „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:2, „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:6, „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:1, „დინამო“ (თბილისი) — „ავანგარდი“ (ხარკოვი) 2:0, „დინამო“ (თბილისი) — „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) 1:0.



სამაისო დათვალიერება.

ნახატი გ. ფირცხალავასი.

# წლები და შედეგები

აქ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს თბილისის „დინამოს“ გუნდის შედეგებს წლებისა და ჩემპიონატების მიხედვით.

| წლები | მოგება | ფრე | წაგება | ადგილი |
|---|---|---|---|---|
| 1936 წ. (შ.) | 8 | 3 | 1 | III |
| 1937 წ. | 7 | 4 | 5 | IV |
| 1938 წ. | 11 | 9 | 5 | VI |
| 1939 წ. | 14 | 5 | 7 | II |
| 1940 წ. | 15 | 4 | 5 | II |
| 1945 წ. | 9 | 8 | 5 | IV |
| 1946 წ. | 15 | 3 | 4 | III |
| 1947 წ. | 14 | 5 | 5 | III |
| 1948 წ. | 13 | 7 | 6 | IV |
| 1949 წ. | 15 | 10 | 9 | VI |
| 1950 წ. | 20 | 7 | 9 | III |
| 1951 წ. | 15 | 6 | 7 | II |
| 1952 წ. | 5 | 6 | 2 | IV |
| 1953 წ. | 11 | 5 | 4 | II |
| 1954 წ. | 9 | 5 | 10 | VIII |
| 1955 წ. | 6 | 4 | 12 | IX |
| 1956 წ. | 8 | 4 | 10 | VIII |
| 1957 წ. | 8 | 5 | 9 | VII |
| 1958 წ. | 8 | 3 | 11 | IX |
| 1959 წ. | 12 | 3 | 7 | III |
| 1960 წ. | 14 | 8 | 8 | VIII |
| 1961 წ. | 13 | 7 | 10 | VII |



## ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი
## № 17

1962 წლის 28 აპრილი, ქ. თბილისი.

### 1962 წლის 1 მაისის პარადის შესახებ

§ 1

1962 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 10.00 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი ა. ტ. სტუჩენკო.

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 45 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადო.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა ი. ტ. გაიდაშმა მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ ი. ტ. გაიდაშს.

თბილისის გარნიზონის უფროსი
გენერალ-პოლკოვნიკი
შტემენკო.



### ქალაქ თბილისში 1962 წლის 1 მაისს მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის შესახებ

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს — 1962 წლის 1 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია დაიწყება 11 საათზე.

მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობენ, იკრიბებიან თავიანთ შესაკრებ პუნქტებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში და ორგანიზებულად, რაიონულ კოლონებად მიდიან რუსთაველის პროსპექტზე დაწესებული მარშრუტებით.

რუსთაველის პროსპექტზე იმ პირების გაშვება, რომლებიც მოსაწვევი ბილეთებით მოდიან, წყდება დილის 9 საათსა და 45 წუთზე.

ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, გარდა სპეციალურ საშვებიანი ავტომანქანებისა, ცენტრალური მოედნების რაიონში შეწყდება დილის 7 საათსა და 30 წუთზე და განახლდება დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

### საქალაქო ელექტროტრანსპორტის მუშაობა 1 და 2 მაისს

1 მაისს თბილისში ტრამვაი იმუშავებს დილის 5 საათიდან და 30 წუთიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებს დღის 12 საათზე გარდა 1 და 12 მარშრუტებისა, რომლებიც მოძრაობას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

ტროლეიბუსები იმუშავებენ დილის 6 საათიდან 8 საათამდე და მუშაობას განაახლებენ დღის 12 საათზე გარდა 2, 3, 8, 10 მარშრუტებისა, რომლებიც მოძრაობას დაიწყებენ დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ. 4 და 6 მარშრუტების ტროლეიბუსები დღის 12 საათიდან ივლიან საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნამდე, ხოლო 7 მარშრუტის ტროლეიბუსები დღის 12 საათიდან ივლიან გორგასლის მოედნიდან.

დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ ყველა მარშრუტი ჩვეულებრივი წესით იმუშავებს. 2 მაისს საქალაქო სამგზავრო ელექტროტრანსპორტი იმუშავებს ჩვეულებრივი განრიგებით.

საქალაქო ტრანსპორტის მთავარი სამმართველო

„კომუნისტის“ შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

# რა ვნახოთ, მოვისმინოთ

## თეატრები

1 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ქეთო და კოტე, რუსთაველის სახელობის — ზღვის შვილები, მარჯანიშვილის სახელობის — ბაბთიანი გოგონა, გრიბოედოვის სახელობის — მთვარის სონატა, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეკარე (რკინიგზელთა სახლში).

2 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ამირ სიფრთხილე (დღისით), ბოჰემა (საღამოს, მე-9 აბონ. მე-10 სპექტაკლი), რუსთაველის სახელობის — წვიმის ვაჭრებელი (დღისით და საღამოს), მარჯანიშვილის სახელობის — ბაბთიანი გოგონა (დღისით), მე, ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს), გრიბოედოვის სახელობის — მთვარის სონატა (დღისით); წუსვარეში რამაში (საღამოს), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მეკარე (დღისით), სამი უფროსის მასხარა (საღამოს, რკინიგზელთა სახლში).

## კინო

1 და 2 მაისი

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი (საზაფხულო), თბილისი, საქართველო (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — გამოუცნობლობის ზარიდან, ამირანი — ოთხთა გული, ისანი (საზაფხულო) — ილიკომა (პირველი სერია), სპარტაკი, პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — ბეთნიერების მამიმებელი, კომკავშირული — და თუ ეს სიყვარულია?, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), მზიური — ამბავი-აბანოს [illegible], 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — საგანგებო შემთხვევა (I-II სერია); 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — [illegible] [illegible] (მეორე დარბაზი) — მელოდი, საქართველო (საზაფხულო) — მოწმენდილი ცა, კოლხიდა (საზამთრო) — მიფრინავენ წეროები, კოლხიდა (საზაფხულო) — ორი ცხოვრება (I-II სერია), ოფიცერთა სახლი — შემთხვევითი შეხვედრები.

## ტელევიზია

1 მაისი

09.50 — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე, — 1 მაისისადმი მიძღვნილი გადაცემა — ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის პროსპექტიდან, 18.00 — გადაცემა „საქმიანი“, 18.20 — კინოჟურნალი, 18.40 — სიმღერის კონცერტი, 19.40 — გადაცემა ცოცხლებთან — „რაც თუ არა შენ“, 20.00 — მხატვრული ფილმი, 21.40 — ახალი ამბები სპეციალური გამოშვება, 22.00 — სასტრადო კონცერტი „თქვენი თხოვნით, მეგობრებო“!

2 მაისი

12.00 — „ჩვენი ზეიმი“, 12.25 — კონცერტი — „მხატვრული ზაფხულები“, 12.50 — პიონერული კინოფესტივალის ეკრანზე — მხატვრული ფილმი „მწვანე პატრული“ (კინოფესტივალი ეძღვნება პიონერთა ორგანიზაციის 40 წლისთავს), 17.00 — ფეხბურთში 1962 წლის პირველობის გათამაშების კალენდარული მატჩის რეპორტაჟი „მერცხლები“ სტადიონიდან. ერთმანეთს ხვდებიან თბილისის „დინამო“ და ბაქოს „ნეფტიანიკი“, 18.40 — კინოჟურნალი, 19.05 — მხატვრული ფილმი „ადმირალი ყუშაკოვი“, 20.50 — სასტრადო სატელევიზიო ალმანახი — „სალამური“.

## რადიო

2 მაისი

პირველი პროგრამით

06.45 — ქართული ხალხური მუსიკა, 08.30 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 09.20 — „აბა, გოგო“... ქართული საცეკვაო და სატრფიალო სიმღერები, 10.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის, რადიოთანამშრომელობა ლ. ქიაჩელის მოთხრობისა „მოქალაქე“, 10.45 — კამერული მუსიკა, 11.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 11.30 — ჟაკლინ ფრანსუასა და ივ მონტანის კონცერტი, 12.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 13.20 — მღერის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მომღერალთა გუნდი, 14.05 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 15.10 — ლიტერატურული გადაცემა ციკლიდან — „სატირა და იუმორი“, 16.00 — ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი, 18.10 — მუსიკალურ-ლიტერატურული კომპოზიცია — „საგაზაფხულო“, 19.00 — რადიოჟურნალი ქალებისათვის, 19.30 — ქართული ხალხური პოპულარული სიმღერები, 20.20 — რადიოგაზეთი ახალგაზრდობისათვის, 21.00 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 22.00 — ლიტერატურულ-დრამატული გადაცემა. სცენები კომედიებიდან, 22.40 — „საცეკვაოდ გიწვევთ“!

უე 05719 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.